ქართული აზრი

> „ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენადაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.
>
> **აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.**

№ 11

GEORGIAN OPINION

NEW YORK, DECEMBER 1956

„ქართული აზრი“-ს რედაქცია მხურვალედ გილოცავთ ქრისტეს შობისა და ახალი წლის დღესასწაულებს და გულწრფელად გისურვებთ მომავალი წელი ყოფილიყოს ყველა ქართველისათვის — საქართველოში და უცხოეთში — სიხარულისა და ბედნიერების წელი!

რედაქცია.

შობისათვის

ეს წერილი მიეძღვნება „ქართული აზრის“ დეკემბრის ნომერს. წლის დამლევია. ქართულ კალენდარში ძველად ეს თვე აღინიშნებოდა „ქრისტიშობისთვედ“. არც ერთ საქრისტიანო ერის თვეთათვლაში მოიპოვება ეს შეცვლითი სახელწოდება დეკემბრისა. ეს არის მხოლოდ ქართული თეოლოგიური აღსახვა. ამ სახელწოდებას კი დიდი მნიშვნელობა მიეკუთნება, რადგანაც ქრისტეს შობამ კაცობრიობას მიანიჭა სულიერი გარდაქმნა და გონებრივად წარმატება და წინსვლა. ამისდა მიხედვით შობის ტროპარი გვაუწყებს: „შობამან შენმან, ქრისტე ღმერთო, აღმოუბრწყინვა სოფელსა ნათელი **მეცნიერებისა**“.

რა მოხდა ქვეყნად? ის, რომ დასრულდა ხალხთა წყევითი მდგომარეობა პირველყოფილი ცოდვით ქმნილი. დასრულდნენ ჟამნი სოფლხედვის უკულმართობისა და შეცნაურების უმეცრებისა. დასრულდა „ძველი აღთქმა“, წინასწარმეტყველთა მიერ უცხო ბედის მოლოდინის აღმბეჭდველი. შესრულდა მიუთხრობელი განგებულება უზენაესისა. შესრულდა „ახალი აღთქმის“ გამოწერილი დროთა წყება. შესრულდა გონების უილაჯო ტრიალის გამბრუნება სიმტკიცისადმი. შობის საგალობელში ვკითხულობთ: „ერმა მწყვდიადში და ბნელსა შინა სიკვდილისასა მჯდომმა იხილა ნათელი ჭეშმარიტებისა“...

ქართული ღვთისმეტყველება ამ არსებითი შემეცნებით მიიმართებოდა. მისი შთაგონებით აღინიშნებოდა ქართველთა მიერ შობის დღესასწაულის განკერძოებული მნიშვნელობა. ეს გასაგებიც არის, „რამეთუ ჩვენთვის იშვა ყრმა ახალი, პირველსაუკუნეთა ღმერთი“, როგორც გვასწავლის შობის კონდაკი.

ადამიანის გონების განცდითა და მიხვედრით აღუარებელმა, ღვთის განკაცებაში აღსახულმა საიდუმლო მოვლენამ კაცობრიობას განუმზადა შესხვაფერებული გზის მიღწევა ამა ქვეყნიური ცხოვრების დანიშნულების უცთომო გაგებისათვის.

ბეთლემის სასწაული ელვის სისწრაფით მოედო ყველა იმდროინდელ ერებს და პირველყოვლისა მიიტაცა პალესტინა და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროები — „ძველი აღთქმის“ ეპიგონები. იესო ნაზარეველის სახელი პირზე ეკრა ყველას! თვით რომს — უდიდესსა, უძლიერესსა, ამპარტავანს — უნდა ქედი მოეხარა „მებატურთა“ სარწმუნოების წინაშე, ხოლო ამას დასჭირდა ხანგრძლივი წინასწარი პროცესი განმზადებისა და ცდისა. ახალ უცნაურ რელიგიას ეწინააღმდეგებოდნენ უმთავრესად მმართველი წრეები და რომაელი სკეპტიკი პატრიციები, რომელთაც ამ რელიგიის არსებითი შინაარსი პლებეებთა რევოლუციურ გამოგონებად ესახებოდათ. ურიასტანიდან შემოპარებული ფანტაზიური ბოდვა მკაცრი ზომებით უკუგდებულიყო, როგორც მავნე რომის იმპერიის სიდიდესი და სიძლიერისა. რომაელთა შეგნება ვერ ითავსებდა და ვერ ითვისებდა განყენებულ აბსოლუტურ მცნებებს. გავიხსენოთ პილატეს შეკითხვა მის წინმდგომ ქრისტესადმი: „რა არის ჭეშმარიტება?“, რომ ადვილად გავითვალისწინოთ რომაელთა ზედამდგომ წრეთა თვალაწუნება მდაბიოთა ქადაგებისა, განათლებული იმპერიისათვის უზომოდ სამარცხვინოსი. ძნელი საკითხი გადაჭრა კონსტანტინე დიდმა მილანის 313 წლის ედიქტით...

უძველეს დროთაგან საქართველოს „ღვთისმშობლის წილხდომი“ ქვეყანა ეწოდება. ეკლესიური გარდმოცემით ქრისტეს ამაღლების უმალვე მისი მცნების აღსასრულებლად: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი, და ნათელსჰსცემდით მათ სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა“, — მოციქულებს წილი უყრიათ, ვის რომელ მხარეში უნდა ექადაგნა; წილისყრაში მონაწილეობა უნებებია და მას წილჰხდომია საქართველო. მოციქულთა კრებული წინააღუდგა წმიდა მარიამის გამგზავრებას შორეულ, ძნელად მისაღწევ მხარეში; ხოლო ვინაიდგან მოციქული ანდრია პირველწოდებულს ჰრგებია მიმოსვლა შავიზღვის ნაპირებისა და ასე გასწვრივ ჩრდილოთ მდებარე ქვეყნებისა, სახელდობრ იმ ადგილებისა, სადაც იმ ხანებში დახეტიალობდნენ ველური სკიფების ურდოები, — ღვთისმშობელმა დაავალა მას ექადაგნა ივერიელთა შორისაც. ეს იყო საქართველოს პირველი უშუალო კონტაქტი საქრისტიანო მოძღვრებასთან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვესპასიანის მიერ დანგრეულ იერუსალიმიდან საქართველოში გადმოხვეწილი ურიების თქმას, რომ არსებობს რაღაც ახალი სარწმუნოება, რომელსაც ჯვარცმულ იესოს სახელით ავრცელებენ მისი მოწაფენი. ჩვენი მატიანის — „ქართლის ცხოვრების“ აღწერით, გამოქცეულთა შორის ყოფილა ვინმე ელიოზი, რომელსაც გამოუტაცნია ქრისტეს კვართი და მოსვლისას ეს სიწმიდე გადაუცია მცხეთაში მცხოვრებ თავი დის სიდონიასათვის. ამ ადგილზე შემდგომ აღიმართა მცხეთის დიდებული ტაძარი — „სვეტიცხოველი„.

ახალი სარწმუნოება თანდათანობით ფეხს იკიდებდა, დროთა სვლაში ფართოვდებოდა და ერის მოწინავე ფენებში განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევდა.

კონსტანტინე დიდის თანადროულთ საქართველოში მეფობდა მირიანი, რიცხვით ოცდა მეოთხე გვირგვინოსანი. მისი მეფობის დროს საქართველოს ეწვია კაპადოკიელი ახალგაზრდა ქალი—წმიდა ნინო, იერუსალიმის პატრიარქის ძმისწული, ახლო ნათესავი წმიდა გიორგისა. მისმა დაუცხრომელმა და სიბრძნით აღსავსე ქადაგებამ მყისვე მოხიბლა, როგორც მეფე სახლობით, ასევე სახელმწიფოს დიდებულნი. მაგრამ მქადაგებელი არ დაკმაყოფილდა წარჩინებულთა კეთილმითვლით ქრისტიანობისადმი: მისი სურვილი იყო თვით ხალხი დაერწმუნებინა ახალი მოძღვრების ღვთაებრიობაში, რათა შეგნებულად უკუქცეულიყვნენ ხელთაქმნილი კერპების თაყვანისცემისაგან. ამ მიზნით წმიდა ნინომ იწყო მიმოსვლა სოფლიდან სოფლად, თავისი თმებით გადაბმული ვაზის ჯვრით ხელში. (ქართველთა ეს სიწმიდე ასვენია სიონის ტაძრის კანკელზე. მისი გამოსვენება ეკლესიის შუაში ხდება წელიწადში ერთხელ, ნინოობას — 14 იანვარს), და როცა დაბეჯითებით იგრძნო ხალხის სათნო განმზადებულება, შეუდგა თადარიგს მასსიურ ნათლისღებისათვის. მეფე მირიანს და ერის წინამძღოლთა ბლომა ნაწილს უკვე აღიარებული ჰქონდათ ქრისტიანობა. როცა მომწიფდა ჟამი, დედაქალაქისა და მის მიდამოების მცხოვრებთა საერთო მონათვლა შესრულდა წმიდა ნინოს თანადასწრებით —- იქ, სადაც არაგვი ერთვის მტკვარს, მუნ გადებულ ხიდთან, ძველადვე პომპეის ხიდის სახელი რომ აქვს. ისტორიკოსების გამოკვლევით, ეს უმეტესად დიდი შედეგების აქტი უნდა მომხდარიყო 325—337 წლებშუა. ზედმეტი არ იქნება აქვე შევნიშნოთ, რომ მოხუცებაში წმიდა ნინო დასახლდა ჰერეთის (ეხლანდელი ქიზიყი და საინგილო) სოფელ ბოდბეში, სადაც მიიცვალა. მისი ცხედარი ასვენია მისივე სახელწოდების მონასტერში, სოფელ ქედლის გვერდით. რა ბედი ეწია მის აკლდამას, არა მაქვს ცნობა, ვიცი კი, რომ მონასტერი გაუქმებულია (წმიდა ნინოს ცხოვრება“ აღწერილია რუსულ ენაზე ნეტარხსენებულ კათოლიკოს კირიონ მეორის მიერ (გარდაიცვალა 1918 წ). დაიბეჭდა 1906 წელს ათონის პანტელეიმონის მონასტრის სტამბაში.

მთელი შემდგომი სვლა და განვითარება საქართველოს სახელმწიფოური და საზოგადოური ყოფაცხოვრებისა არის შენასკვნილი წმიდა ნინოს სახელთან. ამ გეზით წარიზიდებოდა საუკუნეთა განმავლობაში სულიერი და გონებრივი ზრდა და წინსვლა ქართველი ერისა...

რა ჯურის ფენომენი თავსდაგვატყდა უკანასკნელ წელთა დენაში?! შემოსულმა მტერმა ჩვენში შემოაცოლა რუსული ყაიდის მოდერნისტული კერპთ - თაყვანისმცემლობა, უფრო ბრიყვული და უგვანო, ვიდრე წინასაუკუნეებისა. თუ უხსოვარ ჟამთა არიმიტიული ხალხი თაყვანსა სცემდა ამა თუ იმ საგანს, ცეცხლსა თუ წყალს, ან რაიმე სხვა მისი გონების ამშლელ მოვლენასა თუ საგანს, რუსულ ბოლშევიზმმა აწ კერპის სახით „შემოგვთავაზა“ მთელი მატერია — ინერტული, მკვდარი, უხმო და უსიტყვო, სრულიად დამოკიდებული მსოფლიო სხვა ძალთა ზეგავლენისაგან. ეს მატერიალიზმი, რომელსაც აჰყვა მარქსი და რომელიც თანამედროვე ბიოქიმიურ და ფიზიკო-მათემატიკურ მეცნიერების მიერ განდევნილი არის სამეცნიერო დისციპლინათა დარგიდან, „სოვეტურ“ სამფლობელოში გამოცხადებულია ოფიციალ რელიგიად.

ამ „ძღვენს“, საგულისხმოა, ვერც ჩვენი მუხრუჭდადებული სამშობლო გადურჩება. მაგრამ როდემდის ინავარდებს ჩვენში სტალინის კარისმასხარის ხრუშჩოვის წინაწელიწადს შეხინხლული შეუვალობა „სამეცნიერო ათეისტურ უცთომელობისა“? ჟამნი მომწიფდნენ: დაჰკრავს ზარი თავისუფლებისა და გამოცვეთილნი „ხურუმნი“ ჩაყურყუმელავდებიან იმავ უფსკრულში, საიდანაც ამოძვრნენ!

შობის დღესასწაულს დაუბრუნდება საქართველო! განახლდება ლოცვა უზენაესის მიმართ დღეს დაცემულ ბაგეთაგან! იქნება, თუ გნებავთ, ლხინიც გოჭის მწვადების ახლჩით და კახურის სმით!..

რ. ინგილო.

მჟავანაძე და მისი მოხსენება

მოსკოვის დირექტივების თანახმად „სტალინის პიროვნების კულტის“ წინააღმდეგ ლაშქრობა ინტენსიურად გრძელდება. სხვა „მოკავშირე რესპუბლიკებში“ ეს ბრძოლა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პატარა ოპერაციებს, უკვე შენელდა, მაგრამ ეხლა ეძლევა აქტუალური ხასიათი ფართო მასშტაბით და მიზნად ისახავს „სტალინის გავლენა სავსებით აღმოფხვრას ქართველ კომუნისტებში, რაც ასე ძლიერი იყო განსაკუთრებით ახალგაზრდობაში“. სინამდვილეში ეს ახალი კურსი გამოწვეულია ქართველი ერის ეროვნული თვითარსებობის მისწრაფების გამომჟღავნების გამო და მოსკოვის სურვილია ეს აღმოფხვრას ძირ-ფესვიანად.

ქართველმა ერმა სტალინი, ორჯონიკიძესთან ერთად, დიდი ხანია დაუკავშირა თავის დიდ მოღალატეთა სახელებს, რადგანაც ესენი იყვნენ ქართველ კომუნისტთა შორის მთავარი ინიციატორები, რომლებმაც საქართველო ხელმეორედ დაუპყრეს რუსეთს და მისი დამოუკიდებლობა დაამხეს.

პირველი მასიური გამოსვლა თბილისში და საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში, ვითომც სტალინის დასაცავად, საბაბი გახდა სტალინის სახით საქართველოს საწინააღმდეგო ბრძოლის და საოკუპაციო ხელისუფლებამ უწყალო ზომები მიიღო. არავისათვის საიდუმლოებას არ წარმადგენს და ამას არც ბოლშევიკური პრესა ჰფარავს, რომ ა. წ. მარტის აჯანყებას ანტი-რუსული ხასიათი ჰქონდა. მოსკოვის ხელისუფალნი ამან ძალიან დააფიქრა და შეაშფოთა, რუსეთიდან სასწრაფოდ გამოგზავნეს ათასობით პროპაგანდისტ-აგიტატორები, ხოლო საქმეს ვერც ამან უშველა და ქართველ ხალხში უფრო გააძლიერა ანტი- რუსული სულისკვეთება.

ამ ანტი-რუსული სულისკვეთების აღმოფხვრა დაევალა არა საქართველოს კომუნისტურ პარტიას, რადგანაც მასში ერთსულოვნება აღარ სუფევს, არამედ მის პირველ მდივანს — მჟავანაძეს. ის გახმობილ იქმნა მოსკოვში და მიიღო განსაზღვრული დირექტივები და მომავალში საქართველოს უფლების გაფართოების შეპირებები. მანაც თბილისში დაბრუნებისათანავე ა. წ. აგვისტოში მოიწვია საქ. კომ. პარ. ც. კ. პლენუმის კრება, სადაც გააკეთა ვრცელი მოხსენება, პარტიაში მუშაობის, შეცდომების, ნაკლოვანების და მისი გამოსწორების შესახებ.

რადგანაც მჟავანაძე ძალიან ნაკლებად არის ცნობილი საზოგადოდ და კერძოდ ჩვენს ემიგრაციაში, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია მცირე ხნით ჩვენი მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ მის პიროვნებაზე.

მჟავანაძე ხრუშჩოვის მიერ ნდობით აღჭურვილი საქ. კომ. პარ. პირველი მდივანია. ის მოევლინა ჩვენს ქვეყანას ბერიას ლიკვიდაციის შემდეგ. არ ვიცით თუ რა როლს თამაშობდა ასეთი ამაღლებული თანამდებობის დაკავებამდე, ვიცით მხოლოდ, რომ ის ერთ დროს (მგონია, ომის წინ) უკრაინაში ხრუშჩოვის პირადი მდივანი იყო. ალბად აქედან მომდინარეობს მისი ასეთი არაჩვეულებრივი პოლიტიკური კარიერა. ვიცით აგრეთვე, ჯერ ხნობით მაინც, რომ არ არსებობს მისი სახელობის არც ერთი მოედანი, არც ერთი ქარხანა და არც ერთი კოლმეურნეობა. ეს პრივილეგიები ეკუთვნის მხოლოდ რუსის ბობოლა კომუნისტებს, საქართველოში მათი კულტის განსამტკიცებლად. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა დიდი ენციკლოპედიაც უნდა სდუმდეს მჟავანაძის ბიოგრაფიის შესახებ.

ცნობილია, რომ ლენინი სოციალიზმის განსახორციელებლად დიდ იმედებს ამყარებდა ელექტროფიკაციაზე, სტალინი — ინდუსტრიალიზაციაზე, ხოლო ხრუშჩოვი — ყამირ მიწების ათვისებაზე და ტურიზმზე აფუძნებს კომუნიზმის მომავალს. რა თქმა უნდა, არც ერთი ეს სოციალიზმი არ არის და მაინც ქვეყანას ატყუებენ, რომ სოციალიზმს აშენებენ. ყველაზე მეტად არ სჯერათ ეს თვით საბჭოთა ხალხებს, რადგანაც მათი ყოველდღიური ცხოვრება დაუსრულებელი ჯოჯოხეთური წამებაა. მათი სოციალიზმის არ სჯერათ არც უცხოელებს. საფრანგეთის სოციალისტურმა დელეგაციამ, რომელმაც მოიარა საბჭოთა კავშირი და, მაშასადამე, საქართველოც, საბჭოთა ეკონომიურ სისტემაში ვერ დაინახა სოციალიზმი და ის სახელმწიფო კაპიტალიზმად აღიარა, სადაც კაპიტალისტების მაგიერ საბჭოთა უზარმაზარი ბიუროკრატია ყვლეფავს ხალხსა.

ერთხელ მჟავანაძესაც დაევალა საბჭოთა კავშირის უმაღლეს სესიაზე ეთქვა სიტყვა ტურიზმის შესახებ. პირველად თავის სიცოცხლეში შემთხვევა მიეცა არა ლენინი, არა სტალინი, არამედ თავისი დებულების დასამტკიცებლად რუსთაველი დაემოწმებინა, თუ რა სარგებლობა შეუძლია მოუტანოს ხალხს ტურიზმის განვითარებას. მან თავის სიტყვაში აღიარა, რომ საბჭოთა ტურისტებისათვის ფართოდ გაიღოს საბჭოთა კავშირის კარები, რადგან ის, ვინც მეგობრებს არ ეძებს საკუთარი თავის მტერია და აქ მოიშველია რუსთაველის სენტენცია: „ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისი მტერია“.

მას წილად ხვდა ბედნიერება აფხაზეთში შეხვედროდა მარშალ ტიტოს და მასთან საქართველოს მდგომარეობაზე ესაუბრა. მჟავანაძემ მთლიანად და გადაჭრით არ უარყო, რომ ქართველ კომუნისტებში არსებობს „სტალინის პიროვნების კულტის“ სიმპატიები, მაგრამ დაჰპირდა მარშალს, რომ მას შეებრძოლება და მას ამოაგდებს. აგრეთვე მას საუბარი ჰქონდა თბილისში საფრანგეთის დელეგაციასთან. მან კატეგორიულად უარყო მარტის აჯანყების ანტირუსული სულისკვეთების უტყუარი ფაქტი, თუმცა დელეგაციას უკვე ჰქონდა მიღებული სარწმუნო ინფორმაცია თვით ქართველ ნაციონალისტ კომუნისტებისაგან. ამასთანავე მჟავანაძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ „საქართველოს მდგომარეობა ამ ჟამად ბევრად უკეთესია, ვიდრე სტალინის დროს იყო“. „მჟავანაძის მტკიცებას“, ეტყობა, ვერ შეურყევია ფრანგ სოციალისტების დელეგაციის სკეპტიციზმი, რადგან დელეგატები სულ სხვა განწყობილებით დაბრუნდნენ საფრანგეთში, ვიდრე ხრუშჩოვ - მჟავანაძეს სურდათ.

დამპყრობლის ენას არსად არავინ არა აწავლობს. ასეთია საზოგადოდ დაპყრობილი ერის ფსიქოლოგია. დაპყრობილს სძულს არა

მარტო დამპყრობელი, არამედ მისი ენა, კულტურა და პოლიტიკური რეჟიმი, როგორიც არ უნდა ფორმის იყოს ის. საქართველოშიც მოსწავლე ახალგაზრდობა, დამპყრობელის სიძულვილით რუსული ენის უცოდინარობას იჩენს. ამ გარემოებით შეწუხებული მჟავანაძე ხშირად ემდურება მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობას:: „ისწავლეთ დიდი ერის რუსული ენა, აითვისეთ მსოფლიოში ყველაზე უფრო პროგრესიული რუსული კულტურა“-ო. მიუხედავად მომხიბლველი დაპირებებისა, მჟავანაძის მოწოდება ახალგაზრდობაში რჩება „ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა“.

მჟავანაძე გვარით ქართველი, ხოლო გულით, აზროვნებით და პოლიტიკური ორიენტაციით რუსეთის ერთგული, ხშირად ლაპარაკობს, ხოლო ყოველი მისი გამოსვლა რუსულ და ეკონომიურ დიდ აღორძინებაზე, რაც მას, როგორც რუსოფილს, რუსეთის დახმარება-წყალობად მიაჩნია: ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური. უფრო სწორი იქნებოდა, ვსთქვათ, რომ ეს კულტურა, მცირედის გამოკლებით, **ფორმითაც და შინაარსითაც რუსულია და მასში არც ეროვნული და არც სოციალისტური არა არის რა.**

რაც შეეხება ეკონომიურ აღორძინებას, ამას უარყოფს თვით ყოველდღიური ცხოვრება: ხალხს აკლია პირველი მოთხოვნილების საგნები, რასაც ძალიან ხშირად ვერ მალავს გაზ. „კომუნისტი“. ხშირად შეხვდებით იმავე გაზეთში, რომ საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეში სურსათ-სანოვაგის ნაკლულოვანებაა. მაშ რაში მდგომარეობს მჟავანაძის ეკონომიური აღორძინება?

ეს ყველაფერი იქიდან მომდინარეობს, რომ **იდეოლოგიურ კოლონიალიზმს ემატება ეკონომიური კოლონიალიზმი და რუსეთის საბჭოთა სოციალისტური გარგანტუა** (გარგანტუა ფრანგული სიტყვაა და ეწოდება ღორმუცელა, გაუმაძღარ კაცს) **ყლაპავს ქართველი ხალხის მიერ შექმნილ დოვლათს.** ხალხის დიდი უმრავლესობა გაყვლეფილი და გაღატაკებულია. მჟავანაძე და მისი ეკიპი ამას უწოდებს „ეკონომიურ აღორძინებას და სოციალიზმიდან კომუნიზმში“ გადასვლას.

როგორც ზღაპრული ცხოველი-კატოშპონი, რომელიც საკუთარ ფეხებს იღრღნიდა, ისე რომ თითონ ვერ გრძნობდა, მჟავანაძეც სტალინის და ბერიას სახით ებრძვის თვით საქართველოს, ღრღნის მის სულსა და სხეულს, ისე რომ მის ეროვნულ ტკივილებს თითონ ვერა გრძნობს.

შემდეგ წერილში შევეხები მჟავანაძის მოხსენებას.

ს. ჭირაქაძე.

უკანწარსულისაკენ

„უგემურადაც დაწერილი
ისტორია სასიამოვნოა“.
პლინი

საქართველო დღეს მოკლებულია ყოველგვარ ეროვნულ „პრეროგატივებს“. შერჩა მას ჯერჯერობით ქართული კულტურის და მეცნიერების კერა — ქართული უნივერსიტეტი. ამ კერას სათავეში ჩაუდგა უბადლო დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომლის მზრუნველობის ქვეშ წამოიზარდნენ მეცნიერების მრავალი დარგის მუშაკები. „საქართველოს ისტორიის კვლევა ამიერიდან (?) ახალ საფეხურზე ავიდა. გადაუდებელ აქტუალურ ამოცანად იქცა საქართველოს ისტორიის სოციალური ურთიერთობის საკითხის კვლევა. გამდიდრდა ახალი გამოკვლევებით ქართული ისტორიოგრაფია. გაფართოვდა საკვლევო მუშაობის სფერო“, ამბობს თავისი შრომის შესავალში უთუოდ ნიჭიერი დ. გვრიტიშვილი „ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან“. და მართლაც, უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურისა და ენის კათედრებისა და ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის მუშაკებმა გამოუშვეს ორასამდე მეტად სერიოზული და სინდისიერად დამუშავებული ნაშრომები საქართველოს ისტორიის, პოლიტიკურ, სოციალ-ეკონომიურ, იურიდიულ, რელიგიურ და ფილოსოფიურ სფეროებიდან.

საქართველოს წარსულის ყოველმხრივი შესწავლა დღის წეს-რიგში დაისვა. რით აიხსნება ქართველი ისტორიკოსების და ეკონომისტების ასეთი ტენდენცია? რად მიეცა დავიწყებას აქტუალური საკითხები? საბჭოთა პირობებში ძალიან ძნელია სერიოზულად მუშაობა მიმდინარე პრობლემებზე. ერთი პატარა ლაპსუსი საკმარისია, რომ თავი ამოყო სადმე შორს. საბჭოთა სინამდვილე საშინელი კონფლიქტებითაა დაღარული და დასერილი. მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს ადამიანების მოდგმის ასეთი კრიზისი, სადაც ჩამქრალია კაცთმოყვარეობისა და ჰუმანურობის კანდელი და საზოგადოებრივი ცხოვრების ფუძე ფარისევლობა და მლიქვნელობაა. უტოპიური ანთებით შეპყრობილი იდეალები მიილეულნენ, რევოლუციონური ფსიქოზი და აღმშენებლობის პათოსი ჩაქვდა. ყველგან და ყველაფერში გულგრილობა. დაიბადა სურვილი, რაც შეიძლება შორს წავიდეს ადამიანი საბჭოთა ასეთ უფერულ და დაწყევლილ ყოველდღიურობისაგან. რასაკვირველია, ქართველ მეცნიერთა საბჭოთა საშინელ თანამედროვეობისაგან „გაქცევას“ მარტო ზემომოყვანილ მოტივებით ვერ ავხსნით. ჩვენ ვფიქრობთ, მთავარი მოტივი ამ ამბისა სულიერი კავშირის აღდგენაა წარსულთან, ნაციონალურ საქართველოსთან, რომ ქართველმა ქართველად იგრძნოს თავისი თავი. რაც შეეხება ისტორიულ მოვლენებისადმი მეთოდოლოგიურ მიდგომას და ე. წ. დიალექტიურ მატერიალიზმს, ამ მეტად უნიჭო და ბოლომდე მოუფიქრებელ ფილოსოფიას, რომლის სარეცელში ჩაჭყლეტილია საქართველოს ისტორია ეს სავალდებულო ხარკია, და მისი თავიდან აცილება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ის უბრალო კამუფლაჟია და მანევრი, რათა დაიფაროს ნაშრომთა სუბსტანციალი ნასკვი, მთავარი ღერძი.

ქართველ მეცნიერთა ლტოლვას საქართველოს წარსულისაკენ ზემოთ ჩვენ უწოდეთ საბჭოთა აქტუალობიდან გაქცევა, მხოლოდ იმათთვის კი, ვინც საქართველოს სახემწიფოებრივი საძირკვლის ჩაყრას დაიწყებენ, დღევანდელი ექსკურსიები საქართველოს წარსულში იქნებიან საუკეთესო მასალა და დასაყრდენი.

ქართველი ერის მყობადისათვის მუშაობა, მისი ისტორიის ყოველმხრივი შესწავლა დიდი ეროვნული აუცილებელი და კეთილშობილი საქმეა.

შ. კალანდაძე

საბჭოების შინ და გარეთ ხიზნები

წერითა თუ სიტყვათქმით მე ვცდილობ აღვნიშნო ხოლმე სარწმუნო და დოკუმენტური საბუთების მიხედვით ის მთლიანი საზღვარუდები მტრობა, დევნა და რბევა, რასაც საბჭოთა კომუნისტური ხელისუფლება ამოქმედებს სარწმუნოების წინააღმდეგ და კერძოდ უზომო სიბოროტით წინააღმდეგ მართლმადიდებელ ეკლესიისა, რომელსაც აღიარებს მოსახლეობათა დიდი უმრავლესობა, ხოლო ჩვენს მიწა-წყალზე 90 პროცენტი.

უარყოფითი მოპყრობა სარწმუნოებისადმი უღვთო მთავრობის მიერ სრულებით ბუნებრივია, და ამიტომ გულუბრყვილობად ჩაითვლება ფიქრი იმაზე, რომ ორ მოწინააღმდეგე და ურთიერთუარმყოფელ მხარეთა შორის დამყარებულიყო კეთილმითვლილი განწყობილება თუ არა, ერთგვარი, თუ შეიძლება ასე ითქვას, modus vivendi მაინც, გარნა საქმე იმაშია, რომ უღვთო კომუნისტური ხელისუფლება არამც თუ არა კმაყოფილდება რელიგიის უარყოფითა და ათეისტური პროპაგანდით, ის ყოველგვარი ღონისძიებითა, ფიზიკურ., ზეგავლენითა და უხეში ძალდატანებით ლამობს აღმოფხვრას რელიგიური გრძნობის რამენაირი გამოცხადება, და ეს გრძელდება დღიდან მის მიერ ხელისუფლების მიტაცებისა ამ ჟამამდის.

ამასა ვწერ და ვიცი, რომ უკუთქმაც იქნება: როგორიც უნდა იყოს ეს ხელისუფლება, ხომ არსებობს მოსკოვის საპატრიარხო, გახსნილია რამოდენიმე რიცხვი ეკლესიებისა და სასულიერო სასწავლებლებისა, მორწმუნეთ არ ეკრძალებათ საყდარში სვლა, ლოცულობენ, ეზიარებიან — მეტი რაღა?! მაშასადამე მთავრობა — თვით ურწმუნო — არავის უკრძალავს რწმენას.

სწორედ ამ მოსკოვის საპატრიარხოზე და მის მიმართებასა და განწყობილებაზე უღვთო ხელისუფლებასთან მიიძღვნება ქვემორე სტრიქონები.

შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ ეს რუსული საკითხია და ჩვენ, ქართველები, აქ არაფერ შუაში ვართ. მე კი იმ აზრისა ვარ, რომ ყოველისფერი, რაც ხდება რუსულ მთავრობის მიერ, მტკივნეულად გვხვდება ჩვენც, იმიტომ რომ საუბედუროდ ჩვენი ყოფა-ცხოვრება გადაბმული არის კრემლში შემძვრალ გვამების ნებაყოფლობაზე, და ისიც არ უნდა მივცეთ მივიწყებას, რომ საქართველოს „რესპუბლიკა“ არსებითად არის მოსკოველთა პროვინცია!

ქვეყნად რომ მომხდარიყო საერთო უბედურება და ჩვენი ცოდვილი დედამიწა მთლიანად გარდაქმნილიყო „კომუნისტურ სამოთხედ“, დარწმუნებული იყავით, რომ კრემლის მბრძანებლები სულ სხვა სალამურს ააწკარუნებდნენ: არ იქნებოდა, არც საპატრიარხო, არც ეკლესიები, არც სასულიერო სემინარიები, არც მლოცველები საყდრებში!

თქმა არ უნდა, საბჭოთა გავლენა უკანასკნელ წლებში ძლიერდება, ფართოვდება, გარნა მაინც მოზომილი არის მისი ფართობი, ფარგალი და შესაძლებლობაც. საერთაშორისო მნიშვნელობის მრავალ გარემოებათა გამო საბჭოთა ხელისუფლება იძულებული ხდება ანგარიში გაუწიოს თავისუფალ სახელმწიფოთა განკარგულებაში მყოფ წინააღმდეგომ ძალებს, რომელთა მეშვეობით — მადლობა უზენაესს! — მათი სამხედრო და მატერიული შესაძლებლობანი უნდა მითვლილ იქმნენ გარანტიად, რომ საბჭოთა რუსეთი მოშორებულ დისტანციაზე შეაჩერონ და ისიც აგრძნობინონ მას, რომ მისი ქარაფშუტული ახმაურება და განუწყვეტელი ამყაყებული პროვოკაცია ერთობ სუსტი საშუალებაა თავისუფალი ქვეყნების შეშინებისა და შეხუთვისათვის.

მოსკოვის საპატრიარხოს დაქანებულმა გზამ ის მიიყვანა იმ ზომამდის, რომ თავის საკმარისად გამომჟღავნებულ მოქმედებათა გამო ჩარიცხული არის საბჭოთა მთავრობის ბეჯითად დამხმარე ორგანოდ. საბჭოთა კომუნისტურ გამოცემებში ვერა ჰპოვებთ ერთ სიტყვასაც მოსკოვის საპატრიარხოს წინააღმდეგ, ვერც ერთ გამოთქმას, რომ ასე თუ ისე დააკნინოს მისი პრესტიჟი. ამავე დროს ეს გამოცემები უზომოდ აღსავსე არიან, ხრუშჩოვის ნაყბედი რომ გავიმეორო, „სამეცნიერო-ათეისტური“ წერილებით, რომლებშიაც უდიერად ამასხარავებს „ჩამორჩენილ უმეცარ მორწმუნეთ“.

ბუნებრივია შეკითხვა: რა შეხედულებისა არის ყველა ამისა გამო თვით მოსკოვის საპატრიარხო — მართლმადიდებლობის ოფიციალი ცენტრი? მის ორგანოში—„მოსკოვის საპატრიარხო ჟურნალი“ — ასევე ვერ მოსძებნით ერთ სიტყვას, რომ შერისხოს სარწმუნოების გმობა და შეურაცხყოფა, ან დაიცვას საქრისტიანო იდეალისტური სოფლხედვა წინააღმდეგ მექანიკური მატერიალიზმისა, რაიც კომუნისტ „იდეოლოგების“ მიერ დაკანონებული არის საბჭოთა სახელმწიფოს ოფიციალ რელიგიად.

სხვა მრავალ „ფუნქციათა“ შორის, რომელთაც გულმოდგინეთა და ყმურად ასრულებს მოსკოვის საპატრიარქო, უნდა ჩაემატოს საპატრიარქოს ხელმძღვანელთა მონაწილეობა ნაირნაირ საერთაშორისო ყრილობაზე. რას წამოადგენენ ეს ყრილობები? მათ იწვევს და აწყობს საბჭოთა მთავრობა, ხოლო მუნ არ მიავლენს თავის ოფიციალ დელეგატებს გასაგებ მოსაზრებათა მიხედვით: ამ ყრილობებს ფორმალურად იწვევს ეგრედ წოდებული „მსოფლიო მშვიდობიანობის კავშირი“, რომელიც თავს უყრის სხვა და სხვა ერებისა და აღსარებეთა წარმომადგენლებს, ხოლო ამ უკანასკნელთა „პროსოვეტული“ განწყობილება საიდუმლოებას არავისათვის შეადგენს. ამ „ეკლესიურ“ კრებების მონაწილეთ მსოფლიოს მშვიდობიანობა ესმით ისე, როგორც მათ საბჭოთა ხელისუფლება უკარნახებს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, ეს „კავშირი“ ქადაგებს „მშვიდობიანობას საბჭოთა კავშირის გაგებით!

რა მიზეზია, რომ თვით „მშვიდობის მოტრფიალე“ წითელი კრემლი მორცხვად იმალება, და აშკარად და ცხადად არ გაუძღვება მთელი კაცობრიობისათვის სათნო წამოწყებას? საქმე იმაშია, რომ სახელგატეხილ კომუნისტურ მთავრობას სიტყვას აღარავინ უჯერებს და ყველამ უწყის, რომ მისგან გამოფრენილი „მშვიდობის მტრედი“ ფრთებქვეშ იარაღს ატარებს! სულ სხვაა, როცა მშვიდობას ქადაგებენ ეკლესიის სხელით. რად უნდა შეიწუხოს თავი საბჭოთა მთავრობამ, როცა მის იდუმალ ზრახვებს ზუსტად ანაღდებენ სასულიერო პირნი? მისთვის ეს ყოველმხრივ სასარგებლოა: კომუნისტური რუსეთი განზე დგას, ხოლო მის სურვილს მუყაითად ასრულებენ სხვები მოსკოვის საპატრიარქოს დახმარებით. საზღვარგარეთელ ზერელე მეთვალყურეთ, თუ საბჭო ბურუსით მოხიბლულთ და დაბრმავებულთ კი ეს საპატრიარხო თვითმომქმედ, ყოველის მხრივ დამოუკიდებელ დაწესებულებათ ეზმანებათ!

ნურავინ გაიფიქროს, თითქოს ამ საერთაშორისო ყრილობებზე დღის წესრიგში შეტანილიყოს განსახილველად აგრეთვე დოგმატიური და ებრვე სხვა რელიგიური მნიშვნელობის საკითხები ეკლესიათა დაახლოვებისათვის, ან, თუ ეს არა, მათ შორის თანამშრომლობის შესაძლებლობის მოძებნისათვის მაინც, რათა შეერთებული სიმტკიცით წინააღუდგეს მორწმუნე საზოგადოება ამხედრებულ უღვთო მტერიალიზმს. „პროსოვეტულ“ ყრილობებზე ამითი თავს არავინ იტკიებს, არავინ ცდილობს, რომ ჯეროვანი სასწრაფო ზომებით დაცულიყვნენ ასობით მილიონი მათ თავზე შეუჩერებლად მოწოლილ საბჭოთა-კომუნისტურ მატერიალიზმისა და ათეიზმისაგან!

რ. ინგილო.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ლინკოლნი

ვიგების (ლინკოლნის) პარტიამ ენერგიულად გაილაშქრა მექსიკასთან ომის წინააღმდეგ. ისინი ფიქრობდნენ ამ შემთხვევით ესარგებლათ, მშვიდობიანობისა და სამართლიანობის დაცვით თავის მომხრეთა რიცხვი გაეზარდათ და პრეზიდენტ პოლკის და მისი მიმდევრების მდგომარეობა შეერყიათ. ვიგებს მხედველობიდან გამორჩათ, რომ არ შეიძლებოდა ეს ომი პოპულარულად არა ქცეულიყო, რადგან მას თან მოსდევდა სულ მცირედი მსხვერპლით უდიდესი ნადავლი. ბოლოს ვიგებიც მიხვდნენ და სცადეს თავისი შეცდომის გამოსწორება, მაგრამ პირვანდელმა მათმა პოზიციამ დიდი უნდობლობა გამოიწვია ხალხში.

ერთ დღეს სენატში ომის მომხრეთა მიერ იყო თქმული: „ერისათვის აუცილებელია უფრო მეტი ფართობი“-ო. ამაზე ომის მოწინააღმდეგე სენატორმა კარვინმა მიუგო: „უხსოვარი ხნიდან დღევანდლამდე ამით ხსნიდა თავის საქციელს ყაჩაღების ყოველი მეთაური... მე რომ მექსიკელი ვიყო, გეტყოდით: ნუთუ არ გყოფნით თქვენი მიწა თქვენი მიცვალებულების დასასაფლავებლად? თუ თქვენ გადმოლახავთ ჩვენს საზღვარს, შეგხვდებით სისხლიანი ხელებით და სტუმართმოყვარეობით მიგაცილებთ სამარემდე“-ო. ამ სიტყვებმა ისეთი აღშფოთება გამოიწვია მთელ საზოგადოებაში, რომ სენატორი იძულებული იყო თავის მანდატზე უარი ეთქვა.

ამავე პერიოდში ლინკოლნი დაჟინებით მოითხოვდა, რათა პრეზიდენტს ეჩვენებინა ის ადგილი, სადაც დაიღვარა პირველი სისხლი. — სადაც ომი დაიწყო. ეს მისცემს ყოველ მოქალაქეს შესაძლებლობას დარწმუნდეს, რომ იყო თავდასხმა შეერთებულ შტატებზე, თუ ჩვენ თვითონ ვართ აგრესორები, როგორც უფალი არ იტანს გადახრებს, ისევე არ მიიღებს მას ჩვენი ქვეყანა და ის (პრეზიდენტი) ნუ ეცდება გაუგებრობაში დაგვაბნიოს. ხოლო თუ ის დაგვიმტკიცებს, რომ პირველი სისხლი დაიღვარა ჩვენს მიწაზე, მაშინ მე მის მხარეზე ვიქნები“-ო. ამ საკითხის გამო და ამ პოზიციის გამო უკმაყოფილო გერნდონს უპასუხა: „მე მზათა ვარ მთელი ჩემი სიცოცხლე მივცე საწინდრად, თუ თქვენ ჩემს ალაგას სხვანაირად მოიქცეოდით, როდესაც საქმე გაქვთ მტკნარ სიცრუესთან“-ო. ხოლო მეორე წერილში სწერდა: „მიეცი უფლება პრეზიდენტს, თავს დაესხას მეზობელ ქვეყნებს, როდესაც ის საჭიროდ დაინახავს და ამით უფლებას აძლევ მას ომი აწარმოოს თავისი გუნებ - განწყობილების მიხედვით. თუ დღეს ის განაცხადებს: საჭიროა დავიპყროთ კანადა, რათა ავიცილოთ ინგლისის თავდასხმა, რით გააჩერებ შენ მას? შენ შეგიძლიან უთხრა: მე არა ვხედავ ინგლისელების თავდასხმის შესაძლებლობას, ის კი გიპასუხებს: გაჩუმდი, შენ არა ხედავ, მე ვხედავო“.

ეს სიტყვები, თქმული იმ ადამიანისაგან, რომელმაც რევოლუციონური წესით გააფართოია პრეზიდენტის უფლებები სამოქალაქო ომის წინა დროს, გადაიქცა წინასწარმეტყველობად. იმ გარემოების შეფასების დროს, რომელშიაც გათამაშდა მექსიკასთან ომი, ლინკოლნმა გამოიჩინა რევოლუციონური აზროვნება, რომელიც სრულიად შეეფერებოდა იმ დროინდელ ამერიკულ ტრადიციებს, ხოლო შემდეგში გადაიქცა მისივე საწინააღმდეგო მჭრელ იარაღად.

„დედამიწის ზურგზე არსებულ ყველა ხალხს აქვს უფლება—აცხადებს ლინკოლნი—აღსდგეს თავისი მთავრობის წინააღმდეგ, განითავისუფლოს თავი მისი მორჩილებისაგან და შეჰქმნას ახალი ხელისუფლება, რომელიც უფრო შეეფერება მის მისწრაფებებსო. ეს უფლება არ განისაზღვრება ცალკე შემთხვევით, როდესაც ამ გვარი მოთხოვნილება აქვს მთელ ერს, არამედ ყოველ ნაწილს შეუძლიან აღსდგეს თავისი მთავრობის წინააღმდეგ და მიითვისოს ტერიტორია, რომელზედაც დასახლებულიაო“. უცნაურია, რომ სულ მცირე ხნის შემდეგ ამ სიტყვების ავტორმა ეროვნული და საკავშირო მთლიანობის მაღალი მოსაზრებებით სამოქალაქო ომით გადახნა შ.შტატები! ლინკოლნს წინასწარი განზრახვა რომ ჰქონოდა, შეებოჭა თავისი თავი და გაემართლებინა სამხრეთის კავშირიდან გასვლა, უფრო უკეთეს ფორმულას ვერ გამოსძებნიდა.

საბედნიეროდ, ლინკოლნი არ ეკუთვნოდა იმ კატეგორიის ადამიანებს, რომლებიც ერთხელ გამოთქმულ აზრს ჯიქურ იცავენ. ერთხელ თეთრი სახლის ერთ - ერთმა სტუმართაგანმა ლინკოლნთან მსჯელობის დროს მას უთხრა: „უკაცრავად, ბატონო პრეზიდენტო, თქვენ გამოგიცვლიათ თქვენი აზრი“. —„მართალია, მიუგო ლინკოლნმა, — მე საზოგადოდ არა ვცემ პატივს იმ ადამიანს, რომელიც დღეს უფრო ჭკვიანი არ არის, ვიდრე გუშინ იყო“. აზროვნების თანმიმდევრობის ასეთი შეფასება შეელოდა ლინკოლნს, ყოფილიყო მუდამ სიმართლესთან და ჭეშმარიტებასთან ახლოს. სამოქალაქო ომის დროს ერთმა მაღალმა სასულიერო პირმა ლინკოლნთან საუბარში გამოსთქვა აზრი: „ღმერთი ჩრდილოეთის მხარეზეა“-ო. პრეზიდენტმა მკვახეთ უპასუხა: „ღმერთი სიმართლის მხარაზეა. ჩემი ცდა და ლოცვა მხოლოდ ის არის, რომ ეს ერი იყოს ღმერთის მხარეზე“.

1848 წლის იანვარში ლინკოლნმა ხმა მისცა მექსიკასთან ომით გახელებულ ოპოზიციის რეზოლუციას, რომელიც ომს უწოდებდა „უაზროს, უმიზნოს და არა-კონსტიტუციონალურს, დაწყებულ შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ“. ამან გადასწყვიტა ლინკოლნის მომავალი არჩევნების ბედიც. ილინოისის ამომრჩევლებმა ამ გვარი საქციელი ჩათვალეს არა-პატრიოტულ აქტად და ლინკოლნი აღარ აირჩიეს.

ვაშინგტონში გატარებული ორი წლიწადი ლინკოლნისათვის გამოდგა დიდი სკოლა. ტყიდან გამოსულმა ახალგაზრდა კაცმა ნახა დედა-ქალაქი და გაეცნო აღმოსავლეთის შტატებს. მას ჰქონდა შესაძლებლობა თვითონ ყოფილიყო მოწმე, თუ რა მგზნებარებას იწვევდა კონგრესში მონობის საკითხი და მისი ყოველი გახსენება. ლინკოლნი ხშირად იმეორებდა: დაახლოებით ორმოცჯერ მაინც მივეცი ხმა ვილმოტის „დამატებას“ო, საიდახაც მისი ბიოგრაფები ასკვნიან, რომ ის უკვე გრძნობდა ჩრდილოეთისა და სამხრეთის შეურიგებლობასო.

1846 წელს პენსილვანიის წარმომადგენელმა ვილმოტმა რამოდენიმეჯერ სცადა სხვა და სხვა რეზოლუციებისათვის დაემატებინა: „მექსიკასთან ომის შედეგად შემოერთებულ ტერიტორიებზე არ დაიშვას მონობაო“ .ეს შენიშვნა მრავალჯერ იქმნა მიღებული წარმომადგენელთა პალატაში, მაგრამ არასოდეს არ გავიდა სენატში. უმრავლესობა ფიქრობდა: თუ ეს „დამატება“ ორივე ინსტანციის მიერ იქნებოდა მიღებული და პრეზიდენტიც ხელს მოაწერდა, გამოიწვევდა სამხრეთის განცალკევებას. 1847 წელს, როდესაც ეს შენიშვნა განმეორებით იქმნა შეტანილი, პრეზიდენტ პოლკს თავის დღიურში ჩაუწერია: „ეს გამოიწვევს სამწუხარო შედეგებს ერში და დაანგრევს დემოკრატიულ პარტიას, შეიძლება თვითონ კავშირსაცაო“. ამ დამატების გარჩევის დროს ჯორჯიას ორი წარმომადგენელი, რომლებიც კავშირის ერთგულები და მექსიკასთან ომის და ექსპანსიის წინააღმდეგები იყვნენ, აფრთხილებდნენ „დამატების“ მომხრეებს,—თუ ექსპანსია ფაქტად იქცა, სამხრეთი შეურაცყოფად მიიღებს, თუ აუკრძალეთ მათთვის მისაღები და ჩვეული „დაწესებულებების“ იქ გადატანაო. სამხრეთელი რობერტ ტემსი, მიუხედავად თავისი კავშირისადმი ლოიალობისა, უფრო კატეგორიულად აცხადებდა: „მიითვისეთ ეს საერთო ქონება და მაშინ თქვენი ხელისუფლება აღარ იქნება ჩემი. მაშინ მე გადავიქცევი თქვენი მთავრობის მტრად და, თუ შევძელი, მივიყვან ჩემს შვილებს და ამომრჩევლებს თავისუფლების ალტართან და ფიცს დავადებინებ, რომ თქვენი უსამართლო მფლობელობის მუდმივი მტრები იქნებიანო“, ხოლო ალექსანდრე სტოვენსი, რომელიც მალე გახდა კონფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, აცხადებდა, რომ თუ ამ „დამატებას“ მიიღებდნენ „მისი შედეგი იქნებოდა სიცარიელე, მკვლელობა და სისხლი“-ო.

ეს შენიშვნა ჩაბარდა არქივს და მისი ცუდი გავლენა მოიცილეს კომპრომისით, რომელმაც დააკმაყოფილა სამხრეთის პატივმოყვარეობა და ჩრდილოეთის განწყობილებაც. კომპრომისში ნათქვამია: „ტექსასისა და კალიფორნიის შუა მდებარე სუსხიან მზიანი უდაბნოს ჰავა სპობს მონათმფლობელობის შესაძლებლობას“-ო.

1850-იან წლებში უკვე მომწიფებული ლინკოლნი ალბათ თვითონ შეეცდებოდა ამგვარ კომპრომისის მონახვას, რადგან არავის ლინკოლნივით არ უცდია გადაერჩინა დამარცხებული სამხრეთის თავმოყვარეობა. ლინკოლნის აზრით, გამარჯვების ყველაზე უკეთესი გზაა, თუ შესაძლებელია, მოხერხებით და მოწინააღმდეგის დაჯერებით, თუ მან არ გასჭრა და საჭიროა ბრძოლა, უნდა იბრძოლო, მაგრამ იგი (მოწინააღმდეგე) არასოდეს არ უნდა დაამცირო. თავის განდიდების წლებში მან ზედმიწევნით დაიცვა ზემოთქმული მოსაზრება და, როგორც მისი ერთი ბიოგრაფი ამბობს, „შესანიშნავად შეაერთა გველური მოხერხება წმინდანის სიბრძნესთან“.

ვაშინგტონში ყოფნის პერიოდში ლინკოლნი გაეცნო პოლიტიკის უდიდეს სიმკაცრეს და სიავეს. როდესაც ის პოლიტიკურად გამოუცდელი იყო და ბუნდოვანად ჰქონდა წარმოდგენილი თავისი პოლიტიკური თეორიის პრაქტიკა, ის იყო პოპულარული. როდესაც მან საკმაო გამოცდილება მიიღო, ნათლად წარმოიდგინა თავისი თეორიის პრაქტიკა და თავისი სინიდისისა და რწმენის წინაშე უკომპრომისოდ მოქმედობდა, მას ამომრჩევლებმა ნდობა აღარ მისცეს და არჩევნებში გააშავეს.

მაგრამ ლინკოლნის ბუნება არავისაგან დაჯილდოებას არ მოელოდა, როგორც არ აშინებდა არავისი გაკიცხვა. სწორედ ამ პერიოდში შეითვისა და დაეუფლა ლინკოლნი „კამათის ხელოვნებას“. მან იპოვა მეთოდი, თუ როგორ გაეტეხა და დაემორჩილებინა თვით ყველაზე ძლიერი ოპონენტი. მან არ გადმოიღო არავის სტილი, არავის არ მიბაძა, არამედ შეჰქმნა საკუთარი. თავდასხმაში თუ თავდაცვაში მისი მჭერმეტყველობის დამაჯერებლობა ამერიკის იმ დროინდელ საზოგადოებაში გადაიქცა ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ და სამაგალითოდ.

არ. დონაური.

მონური შრომა

მთელი კულტურული კაცობრიობა უკვე დიდიხანია, უდიდესი გულისტკივილით ადევნებს თვალს საბჭოთა კავშირის იმ ბარბაროსულ მეთოდებს, რომელსაც იგი ხმარობს საბჭოთა და მეორე ომის შემდეგ მიტაცებულ და „სატელიტებად“ ქცეული ქვეყნების მოსახლეობაში. მთელი ქვეყანა განცვიფრებულია კერძოდ იქ გაბატონებული შრომის სისტემით. ნუთუ ჩვენს ეპოქაში შესაძლებელია სახელმწიფომ პირველყოფილი ბარბაროსების წესით ისარგებლოს და შრომის მონური „უფლება“ გამოიყენოს? ბევრი კულტურული ადამიანი, დაწესებულება, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სახელმწიფო მოღვაწეები ეჭვითა ხვდებოდნენ გავრცელებულ ხმებს და ეს ანტი-საბჭოური პროპაგანდის მეთოდი ეგონათ.

ბოლოს ამ საკითხით დაინტერესდა გაერთიანეული ერებიც და „მსოფლიოში მონური შრომის საკითხის“ გამოსარკვევად შექმნა — გაერთიანებული ერების და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან სპეციალური კომისია. კომისიამ საკითხი შეისწავლა და ხანგრძლივი მუშაობის, მრავალი მოწმეების დაკითხვისა და აუარებელი დოკუმენტების შეგროვების შემდეგ, დასაბუთებული მოხსენება წარუდგინა გაერთიანებულ კრებას, რაც 1953 წელს ცალკე წიგნად გამოიცა.

ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება, გაეცნოს, თუ რა ჯოჯოხეთი დაატრიალა რუსეთმა მეორე ომის შემდეგ დაპყრობილ ქვეყნებში.

უნგრეთი. უნგრეთის შესახებ ზემოხსენებულ კომისიას ჩვენებას აძლევს „თავისუფალი ჟურნალისტების მსოფლიო ფედერაციის“ წევრი, უნგრელი სულთან თურიმი. იგი აცხადებს: „უნგრეთში კომუნიზმის გაბატონებამდე არც ერთი საკონცენტრაციო ბანაკი არ არსებობდა. დღეს კი იძულებითი შრო-

---

საით მიდის კავკასია?

DIVIDE ET IMPERA

შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ დედამიწის ზურგზე არც ერთ კუთხეში ძველი კლასიკური პრინციპი „Divide et impera“ არ იყო ისე სრულად განხორციელებული და გამოყენებული, როგორც კავკასიაში.

„დაყავი და იუფლე“ — ეს იყო მთავარი პოლიტიკური იარაღი დამპყრობელი ძველი იმპერიებისა თავისუფლების მოყვარე კავკასიელი ერების დამორჩილებისათვის.

ჯერ მონღოლები და მათ შემდეგ თურქები და სპარსელები დაიპყრობდნენ თუ არა კავკასიის რომელიმე ნაწილს, მათი საშუალებით ებრძოდნენ დანარჩენთა თავისუფლებას. წარსულში აღმოსავლეთ საქართველოში სპარსეთის გაბატონებას ეხმარებოდნენ შახების მიერ დაპყრობილი მეზობელი აზერბეიჯანის სახანოები. მეორე მხრივ სპარსეთის მოქიშპე სულთნების თურქეთი ცდილობდა გამაგრებას დასავლეთ საქართველოში და იქიდან ფეხის მოკიდებას აღმოსავლეთ კავკასიის სპარსეთის ზონაში. ამისათვის ერთმორწმუნე (სუნიტურ) დაღისტანში გაიჩინა დამხმარე ძალები, რომლებიც სულთნების წაქეზებით თავს ესხმოდნენ ქართლ-კახეთს. სპარს-თურქთა პოლიტიკას არა ერთხელ მოუხერხებია თვით ქართული პროვინციების ერთმანეთზე გადაკიდება. მოქიშპე სულთნების და შახების იმპერიები მხოლოდ მორიგებულნი იყვნენ ერთ საერთო ცდაში: არ დაეშვათ კავკასიელების ერთმანეთთან მეზობლური დაახლოვება და გაერთიანება, არც გარედან ად არც შიგნით. იმ დროიდან ქართველი ხალხის მეხსიერებაში შენახულია მოლლას ვედრება, რომელიც ყოველ დღე გაისმოდა თბილისის მეჩეთიდან: „დიდებულო ალახ! არ დაუშვა ქართველების გაერთიანება“-ო.

საქართველოს უკანასკნელი გამოჩენილი მეფე ერეკლე მეორეს (1744—1798) თავისი მეფობის ხანგრძლივ მანძილზე მოუხდა უდიდესი ბრძოლების გადატანა საქართველოს გაერთიანებისათვის და კავკასიელ მეზობლებთან დაკარგული კავშირების აღსადგენად.

1749 წელს, ნადირ შახის სიკვდილისა და სპარსეთში დაწყებული არეულობის შემდეგ, სპარსეთის ხანი მამედი თავს დაესხა ერევანს. ერევნის ხანის თხოვნით ერეკლე ქართული ჯარით მიდის მის დასახმარებლად და ერევნელებთან ერთად ამარცხებს და გააგდებს მამედს არაქსის გაღმა. მაგრამ უკანასკნელი ახლად დაგროვილი ჯარებით გაჩნდა განჯაში. განჯის ხანიც სთხოვს ერეკლეს დახმარებას. მეფე სწრაფად მიადგება განჯას და ანთავისუფლებს განჯა - ყარაბახის სახანოებს სპარსეთის პრეტენდენტებისაგან. აღადგინა თუ არა ძველი საკავშირო ურთიერთობა განჯის სახანოებთან, ერეკლე აბოლოვებს დიდად ნანატრ საქართველოს გაერთიანების საქმესაც, რომელიც უკვე კაი ხანია ჰქონდა დაწყებული. 1790 წელს თბილისში თავი მოიყარეს საქართველოს ძველი ნაწილების წარმომადგენლებმა—ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, გურიისა და სამეგრელოსი: მეფე ერეკლე მეორე, სოლომონ მეორე, სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი, გურიის მთავარი სვიმონი. მათ ხელი მოაწერეს გაერთიანების აქტს: „რადგან ყველა ივერიელები ერთი სისხლისა არიან, აქვთ ერთი ენა და ერთი სარწმუნოება, ჩვენ მეფენი და მთავრები ივერიისა ვამყარებთ ჩვენს შორის მტკიცე ერთობას და ვფიცავთ ერთმანეთის დახმარება-დაცვას უკუნიდან უკუნისამდე“. თავის შემოკრებით პოლიტიკას ერეკლე აგრეთვე ამთავრებს სომხებთან მჭიდრო კავშირების გაწყობით. შევიწროებულნი სამხრეთიდან, სომხები პოულობენ ერეკლე მეორის სახით დიდ მფარველს. მისგან მიღებული ნებართვით სომხები საგრძნობი რიცხვით სახლდებიან საქართველოს ფარგლებში — ქართლში, ბორჩალოში, თბილისში. იმ ხანად სომხების ვაჭრობა მთელ კავკასიას მოედო და გარდა ამისა თვით საქართველოში ბევრ სომეხს ეჭირა პასუხსაგები ადგილები სახელმწიფო მართველობაში და დიპლომატიურ სფეროში.

მაგრამ მთელი ეს უზარმაზარი აღმშენებლობითი საქმიანობა მეთვრამეტე საუკუნის გამოჩენილი ქართველი ბელადისა სწარმოებდა ძველი სპარსეთ - ოსმალეთის მართველთა გამუდმებული მტრული დარტყმების ქვეშ, რომლებმაც ბოლოს და ბოლოს მეფე ერეკლეს კავკასიური ლობე გაარღვიეს და ამ ნაპრალით მალე წარმოდინდა სამხრეთისაკენ სლავიანთა სტიქიონის ნიაღვარი. 1783 წელს მეფე ერეკლეს ხელშეკრულება რუსეთთან და მის შემდეგ მომხდარი ამბები, დამთავრებულნი კავკასიის ეროვნულ სახელმწიფოთა განადგურებით და მთელი კავკასიის დაპყრობით. შედეგი იყო იმ დროის სპარს-ოსმანთა სახელმწიფოთა მართველების წინდაუხედავი პოლიტიკისა.

ახალი ეპოქა, რომელსაც თან მოჰყვა მეფეთა რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობა, საკმაო საბუთებს იძლევა დასამტკიცებლად, რომ თავიდანვე ამ ახალი ბატონობის მკაცრ პირობებში ტრადიციული ლტოლვა ერთმანეთ შორის დაახლოვება დაკავშირებისათვის კავკასიურ ერებში არასდროს არ გამქრალა.

1801 წელს რუსეთის სამხედრო ძალით მოხდენილ საქართველოს ანექსიას მოჰყვა მთელი რიგი აჯანყებები. მათ მეთაურობდა ერეკლე მეორის შვილი ალექსანდრე ბატონიშვილი.

„კახელებო, ღმერთმა დაგიფაროთ, რომ რუსები გაძლიერდნენ! თუ ისინი თქვენ რბილად გელაპარაკებიან, მაგრამ მაინც ბოლოს რუსებს გამოუდით სიცრუე, ორგულობა და ღალატი. აი ხომ ჩვენ არაფერში მიგვიძღვის დანაშაული მათ წინაშე, მაგრამ დახეთ, დახმარების მაგიერ თავდაყირა დაგვაყენეს. გახსოვდეთ, რუსების დახმარება ყველა ქართველისათვის ციმბირია“ (ბერჟე, კავკასიის არხეოგრაფ. აქტები) სწერდა 1812 წ. ალექსანდრე ბატონიშვილი და ვერაგ ძალმომრე რუსეთის გაბატონებას კავკასიაში სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა. ერთი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ამ შეუპოვარმა მებრძოლმა ეროვნული ბრძოლის დროშა მთელ კავკასიის სივრცეზე გაშალა და ცდილობდა კავკასიის ყველა ერების გაერთიანებას გაუგონარ რუსული ძალადობის წინააღმდეგ. ჩნდებოდა ხან დაღისტანში, ხან აზერბაიჯანის სახანოებში, ხან თვით საქართველოშიც, სადაც მას ხვდებოდნენ დიდი აღტაცებით. ის აკავშირებდა მეამბოხეთა ყველა კუთხის რაზმებს და არ აძლევდა საშუალებას რუსების ძალები გამაგრებულიყვნენ კავკასიაში. ოცდახუთი წელიწადი, თითქმის შეუჩერებლივ, კავკასიის მიწა - წყალზე სწარმოებდა ომი და ჩეხვა შემოსეული მრავალრიცხოვანი რუსების ჯართან. გაერთიანებული კახ-ლეკ-ნუხელთა ძალები გააფთრებულად ებრძვიან რუსების პოლკებს მდინარე იორთან. ხევსურები და ინგუშები ერთად მოქმედობენ კავკასიის მთებში და საქართველოს სამხედრო გზაზე. ქრთველები და ოსები — არაგვისა და ჯავის ხეობებში. მათ გვერდში ამოუდგა იმერეთის მთელი ხალხიც იმავე ხანაში. „გეოგრაფიულმა მდგომარეობამ და ამასთანავე მთელი იმერეთის ხალხის გადაწყვეტილებამ, თავის დიდებისა დამოუკიდებლობის და თავისუფლებისათვის, ძალიან მძიმე და საშიშ მდგომარეობაში ჩააყენა რუსის ჯარი. მხოლოდ გენერალ როზენის მოქმედებით იმერეთი ნაბიჯ-ნაბიჯზე და ხიდან ხემდის დაპყრობილი იქმნა (პროფ. პ. ი. კოვალევსკი, „კავკასიის დაპყრობის ისტორია“, ტ. მეორე, 1915 წ. გვ. 99—116). საერთოდ ეს ხანა სავსეა კავკასიის ერთა ერთობილ გმირული ეპიზოდებით, რომლის სიმრავლე ოფიციალური კავკასიის არხეოლოგიურ აქტებში იმალება.

მაგრამ ჩრდილოეთის ადამიანთა დაუშრეტელმა რეზერვებმა ტექნიკურმა და ფინანსიურმა შესაძლებლობამ დიდი იმპერიისა გასტეხეს ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა. მისი მთავარი დასაყდენი კავკასიური ბაზა—ხევსურეთი რუსულმა არტილერიამ ნახევრად მიწასთან გაასწორა. ოსეთიც განადგურდა. მეზობელი აზერბაიჯანის სახანოებიც იქმნენ დაპყრობილნი და დაცემულნი.

აჯანყებებით მოღლილი საქართველოც ჩაჩუმდა. ხოლო ბრძოლა მის ველ-მინდვრებიდან რუსთა წინააღმდეგ ახლა მაღალ მთაში ავარდა. მოხუცებულ ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლის დროშა ამ ჟამად დაღისტან-ჩაჩნეთის იმამ შამილმა აღმართა. სასტიკი სისხლის მღვრელი ომი რუსებთან მოედო მთელ ჩრდილო კავკასიას. იგი გაგრძელდა 1864 წლამდე. განმარტოებულმა ბრძოლამ ვერ მოუტანა გამარჯვება მთიელებს და რუსეთი მათაც მოერია. კავკასიის თავისუფლებისათვის დიდი მებრძოლი, უკანასკნელი მისი არიერგარდი, კეთილშობილი ჩერქეზთა ხალხი ათასობით იხოცებოდა კავკასიის მიწა-წყლის ყოველი გოჯის დაცვისათვის და ბოლოს რეგულიარულ რუსულ ჯარებით დიდი ნაწილი მეომრებისა დახოცილი და შავ ზღვაში იყო გადაყრილი და ერთ მილიონზე მეტი გადასახლებული ოსმალეთში.

მთავარი მიზეზი ალექსანდრე და შამილის დამარცხებისა იმალებოდა ჯერ კიდევ არ გამქრალ ზემოხსენებულ წინდაუხედავ თურქ-სპარსთა „Divide et impera“-ს პოლიტიკაში, რომელმაც დაშლილი, დაუძლურებული კავკასია მომდგარ რუსულ ვეშაპს კლანჭებში ჩაუგდო.

მართალია, ბოლოს ეს ქვეყნები მიხვდნენ თავის დიდ შეცდომებს და მზად იყვნენ მათთვის დახმარება გაეწიათ, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო .პირობები საგრძნობლად შეიცვალა. სპარს - თურქებს აღარ ეყოთ არც ძალა, არც საშუალებანი მომძლავრებულ იმპერიასთან შეჭიდებისათვის, რომელმაც დაიპყრო კავკასიის მთავარი პოზიციები. პირიქით, მალე თვით შეიქმნენ რუსეთის სამხედრო პოლიტიკური ექსპანსიის ობიექტად.

ამ გვარად კავკასიის ერთა თავისუფლების საქმე იმ ეპოქაში წაგებულ იქმნა, მაგრამ უსწორო ბრძოლაში დამარცხებული კავკასიის ერებს არ დაუყრიათ იარაღი. მათ მხოლოდ ის დროებით ქარქაშში ჩააგეს და შეუდგუენ თავისი მთავარი ჭრილობის წამლობას. მას ყველა მწვავედა გრძნობდა.

დ. ვაჩნაძე.

მით იტანჯება სამას-ათასამდე კაცი. იძულებითი მონური შრომა გაბატონებულია: სატუსაღოებში, საკონცენტრაციო და ე. წ. დროებით სამუშაო ბანაკებში და ძალით გადასახლებულთა სოფლებში. იძულებითი შრომის ბანაკებში გმინავენ არა მარტო პოლიტიკური პატიმრები, რომლებსაც კომუნისტურმა რეჟიმმა ხალხის მტრები დაარქვა, არამედ ათასობით და ათი-ათასობით სრულიად უდანაშაულონი. საკმარისია მუშა, ქალი თუ კაცი სამუშაოს დააკლდეს, რომ რამოდენიმე თვით იძულებითი შრომა მიუსაჯონ და საკონცენტრაციო ბანაკში უკრან თავი. თეორიულად იძულებითი შრომა ანაზღაურებულია, მაგრამ ეს მხოლოდ თეორიულად და ქაღალდზე. სინამდვილეში მათ ისეთ დიდ სამუშაო ნორმას აძლევენ, რომ მის ასასრულებლად თავისუფალი მუშა, თვით საბჭოთა კავშირშიც კი ათჯერ მეტ ხელფასს იღებს. გარდა ამისა,„შემოსავლის“ 30 % უკავებენ საჭმელისათვის და ეს თანხა გადადის იუსტიციის სამინისტროს განკარგულებაში, რომელსაც აქვს საკუთარი ქარხნები. ავეჯის, ფეხსაცმელების, საფეიქროები და სასოფლო-სამეურნეო წარმოებები. ყველა ეს დაწესებულებებიც თავის მხრივ იტოვებენ მონა მუშის ხელფასის ნაწილს, ვითომ მათთვის სანიტარული საგნების, თამბაქოს და დამატებითი საჭმელის სასყიდლად. მაგრამ მონა - მუშის მფლობელებს ამგვარი სულგრძელობა არასოდეს არ გამოუჩენიათ და მათთვის წართმეული თანხიდან დამატებით არაფერი უყიდიათ.

ერთმა სხვა მოწმემ, რომლის გვარსაც კომისია საიდუმლოდ ინახავს, აჩვენა: „1945 წელში საბჭოთა კავშირში ძალით წაყვანილი 40 ათასი უნგრელი დღემდე არ დაუბრუნებიათ და იქაური იძულებითი შრომის ბანაკებში იტანჯებიან“.

რუმინია. რუმინიაში არსებული მონური შრომის შესახებ კომისიას ჩვენება მისცა „თავისუფალი ჟურნალისტების საერთაშორისო ფედერაციის“ თავმჯდომარის ამხანაგმა გიორგი ლონესკუმ.

„დუნაი-შავი ზღვის არხის გაყვანაზე მომუშავე 50 ათასი კაციდან 30 ათასი მონა-მუშა იყო. საბჭოთა სატელიტებ შორის რუმინია პირველი იყო, რომელმაც იძულებითი შრომა შემოიღო ადმინისტრაციული წესით და თავის სისხლის სამართლის კოდექსში შეიტანა.ეს იყო გამოქვეყნებული ოფიციალურ ბიულეტენში 1948 წელს, თებერვლის 27-ს. 1951 წლის 20 მაისს რუმინიის კომუნისტურმა მთავრობამ თავისი ორი ახალი დეკრეტი ამცნო ქვეყნიერებას, რომ მან რუსული ტიპის იძულებითი შრომის ბანაკები შემოიღო.

კომუნისტური რეჟიმის დამყარების პირველივე დღიდან დაიწყეს „საეჭვო“ ხალხის იძულებითი შრომის ბანაკებში ჩაყრა. შემდეგ იძულებითი შრომა გადაიქცა კომუნისტური ტირანიის არსებით ნაწილად. დღეს კი იძულებითი შრომის მთავარი მიზანია, მუშა ხელის რაც შეიძლება მეტი რეზერვების შექმნა, რათა რუმინიისათვის რუსეთის მიერ თავზე მოხვეული ეკონომიური გეგმები მთავრობამ იაფად შეასრულოს“.

საბჭოთა კავშირსა და მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში მონსრი შრომის ბანაკებში, დღევანდლამდე საიდუმლოებით იყო მოცული. მაგრამ მოსკოვის ამ სიბოროტეს ფარდა აეხადა. ქალების იძულებითი შრომის ბანაკების შესახებ საინტერესო მოხსენება წარუდგინა ზემოხსენებულ კომისიას „თავისუფალ ჟურნალისტების ფედერაციამ“.

ბულგარია. აქ არსებულა 56 საკონცენტრაციო ბანაკი, რომლებშიც 80 ათასზე მეტი მონა-მუშა იმყოფება. აქედან ოთხი ბანაკი, კუთრაკანის, ბოსნის, კრუშნოვიცასი და კრუტოვაკანის, მხოლოდ ქალებისათვის ყოფილა გამოყოფილი. თუ როგორ აუწერელია პატიმარი ქალების ცხოვრება, ამას ნიჭიერად ასწერს ტოჩო დამჟანოვი:

„ბოსნას ბანაკში იმყოფებოდა ათასზე მეტი ქალი. 13 წლის გოგონებიდან 65 წლის ავადმყოფ-მოხუც დედაკაცებამდე. უმრავლესობა იყო ინტელიგენტური წრიდან: უნივერსიტეტისა და სკოლების მასწავლებლები, ექიმები და სახელმწიფო მოხელეები, ან სახელმწიფო მოხელეების ცოლები. ყველა მათგანს მამა-კაცის მძიმე სამუშაოს აკეთებინებდნენ. მათ არ იცოდნენ, თუ რისთვის იყვნენ დასჯილები, რადგან ადმინისტრაცია ყველას ერთნაირად უცხადებს, რომ „დაწესებულ აღრიცხვაზე ასაყვანად მიჰყავთ“. მერე კი მათი მომკითხველი და განმკითხველი აღარავინ არის.

ბანაკში ისეთი სივიწროვეა, რომ თითო საწოლზე სამ პატიმარს აწვენენ და ერთს ისე არ შეუძლია განძრევა, რომ მეორე და მესამე არ გამოაღვიძოს.

სურსათ - სანოვაგეზე ლაპარაკიც ზედმეტია, ხოლო თუ მონა ქალი თავის სამუშაო ნორმას ვერ შეასრულებს, ამასაც უნახევრებენ.

ბოსნას ბანაკის მონა-ქალებს დილის 4 საათზე აყენებენ და ბანაკების დასუფთავების შემდეგ, ე. ი. 5 საათზე უკვე სამუშაოზე მიერეკებიან. გარდა სოფლის მეურნეობისა, მშენებლობაზეც ამუშავებენ. დისციპლინის დარღვევისათვის შემოღებულია ზურგზე აგურებ-აკიდებული ქალების საათობით მზეზე დაყენება. ზოგ შემთხვევებში მათ პატარა საკნებშიც აგდებენ, რომლებშიაც არც დადგომა შეიძლება, რადგანაც დაბალია, და არც დაწოლა, რადგანაც მოკლე და სველია“.

ყოველივე ეს მცირე, მაგრამ ტიპიური მაგალითებია იმ სიბოროტისა, რომელიც რუსეთმა მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში გააბატონა და გაერთიანებულმა ერებმა და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა თავის ძიების საგნად გაიხადა.

ა. კ.

* * *

მიუნხენიდან გვწერენ

კრემლის დღევანდელი ბატონების უმაგალითო ბარბაროსობამ უნგრეთის ხალხის მიმართ მთელი თავისუფალი მსოფლიო შეაძრწუნა. თვით კომუნისტებიც კი, რომელთაც ჯერ კიდევ შერჩენიათ მცირე სინიდისი, აღაშფოთა და მრავალი მათგანი სტოვებს კომუნისტურ რიგებს. ყველგან იმართება საპროტესტო დემონსტრაციები და მიტინგები წითელი იმპერიალიზმის და კოლონიალიზმის წინაალმდეგ. ერთხმად მოითხოვენ რუსული ჯარების გაყვანს თავისუფლების ქვეყნიდან.

რაღა თქმა უნდა, მოსკოვის მიერ დაპყრობილი ერების შვილები უცხოეთში ვერ დარჩებოდნენ ხმის ამოუღებლად.

მიუნხენში, კვირას, 11 ნოემბერს მოეწყო გრანდიოზული ყრილობა, რომელსაც დაესწრო ორიათასამდე ქალი და კაცი, ადგილობრივი ამერიკის ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლები და აგრეთვე ბავარიის თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწენი. კრება მოწვეულ იქმნა საბჭოთა კავშირში შემავალ არა - რუს ერების განთავისუფლების ლიგის მიერ, რომელშიც წარმოდგენილნი არიან: უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილო - კავკასიის, ტურკესტანის, კაზაკიის, იდელ - ურალისა და ყირიმის ემიგრაცია.

დარბაზი მორთული იყო დასახელებული ერებისა და უნგრეთის ეროვნული დროშებით. მიტინგის დასაწყისში თავმჯდომარემ, ბ-ნმა ალიხან კანტემირმა მოუწოდა დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი ეცათ უნგრეთის ხალხის მსხვერპლთათვის. გულამტოკებელი იყო ამ ზღვა - ხალხის რამოდენიმე წუთით ფეხზე დგომა, რომელთა სახეზე გამოიხატებოდა უსაზღვრო წუხილი და, ამავე დროს, ზიზღი მათდამი, ვისი მეოხებითაც ასე უხეშად იქელება ადამიანისა და ერის წმიდათაწმიდა, მისი თავისუფლება. ეს წუთი იყო უმაღლესი წერტილი თავშეყრილობისა.

ყოველი სიტყვა, წარმოთქმული ეროვნებათა წარმომადგენლების მიერ იყო საბრალმდებლო ოქმი მოსკოვის წინაალმდეგ. ქართველობის სახელით სიტყვა წარმოსთქვა გერმანულ ენაზე ბ-ნმა ნიკო იმნაიშვილმა, რომელმაც მოაგონა დამსწრეთ ქართველი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისათვის და უკანასკნელი ამბები თბილისის ქუჩებში.

საინტერესო ცნობები გაუზიარა ყრილობას ორი დღის წინეთ დაბრუნებულმა გაზით „ნოიერ ვინერ კურიერ“-ის კორესპონდენტმა ბ-ნმა ჰელმუტ გოლდშმიტმა, რომელიც უშუალო მოწმე იყო უნგრეთის ხალხის გმირული და თავგანწირული ბრძოლისა; მისი სიტყვით, ის იყო აჯანყება არა რომელიმე ჯგუფის, წოდების, ან ნაწილის, არამედ ჭეშმარიტად ეროვნული, ხალხური. იბრძოდა ყველა: სტუდენტი, მოწაფე, მუშა, გლეხი, ქალი კაცი, ბავშვი, თვით ჯარი და მრავალი კომუნისტი. გოლდშმიტის სიტყვით, ასეთ ბრძოლას ვერავითარი ძალა ვეღარ შეაჩერებს,—ის გამარჯვებით უნდა დასრულდეს.

შემდეგ ტრიბუნაზე გამოვიდა უნგრეთის ემიგრაციის წარმომადგენელი ბ-ნი ბელა ბოკორი, რომელსაც მხარს უმშვენებდა ახალგაზრდა უნგრელი ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი და უნგარული დროშით. ბოკორის სიტყვას კრება თბილი გრძნობებით და დიდი პატივით შეხვდა. ბოკორმა გადაშალა სრული სურათი უნგრეთის ერის ბრძოლისა თავისი მეობის დასაცავად და განაცხადა: „რა სურს უნგრეთის ერს? მხოლოდ ერთი: იყოს თავისუფალი უცხო ბატონობისაგან.“

დასასრულ კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ჰგმობს მოსკოვის იმპერიალისტურ პოლიტიკას, სალამს უთვლის უნგრეთის გმირ ხალხს და აღნიშნავს, რომ თავისუფალი მსოფლიო ვერ შეხვდა მომზადებული უნგრეთის განმათავისუფლებელ ბრძოლას და კრემლის მოძალადეობას.

რეზოლუცია მიმართავს უნოს და თავისუფალი ქვეყნების მთავრობებს შემდეგი მოთხოვნილებით:

1. იქმნას საჩქარო ზომები მიღებული, რათა მოსკოვმა გაიყვანოს უნგრეთიდან თავისი ჯარები და დაწესებულებები; ეს ზომები უნდა გავრცელდეს იმ ერებზედაც, სადაც რუსეთის საოკუპაციო ჯარები სდგას.

2. შეიქნას პირობები, რათა ბოლშევიზმის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში შესაძლებელი დარჩეს თავისუფალი არჩევნები და ეროვნული დემოკრატიული მთავრობების შექმნა.

3. ჩვენ მოვუწოდებთ თავისუფალ მსოფლიოს, იხსნას უნგრეთის ხალხი განადგურებისაგან და ჩვენი ქვეყნების თავისუფლება უზრუნველჰყოს.

მეორე დღეს შესდგა პრესის კონფერენცია, რომელსაც მრავლად დაესწრო ევროპისა და ამერიკის პრესის წარმომადგენლები. კონფერენციის საგანი იყო გაგრძელება წინადღით მიტინგზე აღნიშნული მოსკოვის პოლიტიკის არსისა. პრესის წარმომადგენლებს აინტერესებდათ საკითხი: „რას წარმოადგენს მოსკოვის კოლონიალური პოლიტიკა, ან რაში მჟღავნდება ის“.

იდელ-ურალის წარმომადგენელმა ახალგაზრდა დოქტორ სულთანმა ამოწურვით გაარკვია ეს საკითხი: მოსკოვის კოლონიალური პოლიტიკა ვრცელდება, — განაცხადა მან — მართველობაზე, ეკონომიურ პოლიტიკაზე და ეროვნულ-კულტურულ საქმიანობაში.

უცხო სტუმრები კმაყოფილნი დარჩნენ.

თბილელი.

* * *

ყურადღება და გაფრთხილება

ეს კია დავბრუნდი მშვენიერ იტალიიდან, მოხიბლული მისი ბუნების სიკეკლუცით და სილამაზით, მაგრამ უფრო კმაყოფილი მით, რომ ჩვენთვის მიუწვდომელი განგების გადაწყვეტილებამ მარგუნა დასაქცევ ციმბირიდან გამოქცეულ ქართველთან შეხვედრა.

საზოგადოებას ვაუწყებთ ჯერჯერობით, რის გამოქვეყნების ნება მან დამრთო. პირობითად დავარქმევ მას მალხაზ კავკასიძეს. იგი 1949 წლის მიწურულში გადაუსახლებიათ **ყაზახისტანში.** მალხაზმა გადმომცა, რომ „მხოლოდ ერთ დღეს და ერთსა და იმავე საათში დაიძრა თბილისის სადგურიდან **შვიდი მატარებელი.** გადასახლებულთა უმრავლესობა იყო ოჯახებით, მოხუცი ქალები და ძუძუთა ბავშვებით. 1946-47 წლებში დაბრუნებული ქართველი ინტელიგენტები ყველა ციმბირში გადაასახლეს. ბევრი მათგანი იქ დაიღუპა. საკმარისია საზღვარ გარედ ახლო ან შორეული ნათესავი გყავდეს, რომ მთელი ოჯახი ააწიოკონ. აქედან თავისი ნებით დაბრუნებულ თუ ძალით გადაცემულ ქართველებიდან სამშობლომდე არავის მიუღწევია. ცხადია, იმათ გარდა, ვისაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღოდათ, ან ამხანაგების გაცემა-დაბეზღებით, ან და მსგავსი პროვოკაციული მუშაობით“.

როგორც ჩვენს მკითხველს მოეხსენება, აღმოსავლეთ გერმანიაში არსებული ჩეკისტ გენერალ მიხაილოვის კომიტეტი უხვად აგზავნის ყოველ ენაზე დასტამბულ წერილებს და პროკლამაციებს. ის მოუწოდებს ემიგრანტებს, რომ დაუბრუნდნენ სამშობლოს, რომელიც „მათ გულში ჩაიკრავს და მშობლიური სითბოთი აპატიებს დანაშაულს“-ო და სხვა.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ ამბავს აქვს ადგილი ემიგრაციის არსებობის 35 წლის შემდეგ, უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი არსებობის მორალური ძალა უმნიშვნელო არ ყოფილა. სჩანს, ჩვენი აქ ყოფნა, ჩვენი სულის სიმტკიცე და შეურიგებლობა წონასწორობას უკარგავს და აანჩხლებს კრემლის ბატონებს.

„სამშობლო გაპატიებსო!“ სამშობლო ორგულსა და გამცემს არასოდეს არ აპატიებს, ხოლო ერთგულს გულში ჩაიკრავს და „მოიგონებს იმის სახელს, ვინც დღეს იმას არ ივიწყებს“.

ჩვენ სიმწარისა და გაჭირვების გზა ავარჩიეთ და მას ტანჯვით ვეწირებით... სიდუხჭირეში გასალკლდევდა ჩვენი ნებისყოფა და იუდური მოწოდებები „ხმად უდაბნოსა შინა“ დარჩებიან. ჩვენს პოზიციებს ვერავინ შეაცდენენ, ვერავინ შეარყევენ.

ბრძოლაზე ხელის აღებას და ტყვედ და მონად ქცეულ საქართველოში დაბრუნებას კი არასდროს არ გვაპატიებს ჩვენი სამშობლო.

„რომელთა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ“!

შ. კეთილაძე

განცხადება

როგორც პირველსავე ნომერში განვაცხადეთ: „ქართული აზრი“ ყოველი ქართველის ორგანოა. აქ ყოველ მამულიშვილს თავისუფლად შეუძლიან გამოსთქვას თავისი აზრი და დაიცვას თავისი შეხედულება. რედაქცია დაბეჭდავს მაშინაც კი, როდესაც იგი პრინციპიალურად ეწინააღმდეგება ავტორის ამა თუ იმ მოსაზრებას, ხოლო ასეთ შემთხვევაში იგი ეცდება თავისი პოზიცია გამოამჟღავნოს და დაიცვას.

ამავე დროს ეს არის ერთად-ერთი გაზეთი, რომელიც სისტემატიურად გამოდის და მსოფლიოში გაბნეულ ქართველობას შესაძლებლობას აძლევს მშობლიურ ენაზე გაეცნოს მსოფლიო ვითარებას, საქართველოს ამბებს და სხვა და სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ქართველების იმედსა და მწუხარებას.

ამიტომ რედაქცია დარწმუნებულია, ყოველი ქართველი თავის მოვალეობად ჩასთვლის, დაგვეხმაროს და გაამდიდროს ჩვენი ინფორმაცია.

ოკეანეს გადმოღმა მყოფი ქართველები კი რომლებიც ბევრად უკეთეს პირობებში ცხოვრობენ, ვიდრე ჩვენი თანამემამულეები სხვა ქვეყნებში, უნდა ცდილობდნენ ამ გაზეთის მატერიალურ უზრუნველყოფას.

შ.შტატებში და კანადაში მცხოვრებ ქართველების საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ მომავალი წლის იანვრიდან გაზეთი დაურიგდებათ მხოლოდ ხელისმომწერლებს. წლიურად ე. ი. 12 ნომერი სახლში დაგზავნით ეღირება ათი დოლარი.

ქართველებო, გამოიწერეთ თქვენი გაზეთი

„ქართული აზრი“

რედაქცია.

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ ა. წ. ნოემბრის 29-ს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

სოფიო ბაგრატიონის ასული რატიშვილისა.

ულრმეს თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის შვილსა და სიძეს — ქეთევან და ვასილ ნაკაშიძეებს

რედაქცია.

უნგრეთის ამბების გამოძახილი საქართველოში

უნგრეთის ამბებთან დაკავშირებით გავლენიან თურქულ გაზეთ „ჯუმჰურიეტ“-ში ამას წინად დაბეჭდილი იყო თბილისიდან მოსული ცნობა, რომ უცხოელ სტუმართა პატივსაცემად გამართულ ოფიციალურ ბანკეტზე ერთმა სტუმარმა ფეხზე წამომდგარი ადღეგრძელა მოსკოვის მთავრობა. დამსწრეთა შორის თურმე არც ერთი ქართველი ფეხზე არ წამომდგარა და მკვდარი სიჩუმით დაუხვდა ამ სადღეგრძელოს. შემდეგ ნომერში უფრო დაწვრილებით ვამცნობთ მკითხველს ამ ამბავს და თურქულ პრესის კომენტარსაც.

ეს ცნობა კიდევ ნათელჰყოფს, რომ იმ ჯოჯოხეთურ პირობებში, რომელშიც მომწყვდეულია საქართველო, ქართველი ერი მაინც ახერხებს თავისი სულიერი განწყობილების გაბედულად გამომჟღავნებას.

ჩვენს ერს ყოველთვის სჩვევია უძნელეს პირობებშიც სხვადასხვა სახით თავისი ვინაობის შენახვა.

ერ.—დ.

შეცდომების გასწორება

ჩვენი გაზეთის მერვე ნომერში რ. ინგილოს წერილში შევნიშნეთ შემდეგი კორექტურული შეცდომები: იქ, სადაც სწერია “არც არღვევს“, უნდა იყოს: რაიცა არღვევს; „ხუმრობა“, უნდა იყოს: ხმაურობა; „შემოსული“. უნდა იყოს შემოსილი.

— . — . —

EDITORIAL BOARD Dr. G. Gabliani ,
S. Kaishauri, G. Lolua.
EDITOR IN CHIEF: D. Sindikeli.
12-29 — 120 St. College Point. L. I.

— . — . —